

სადოქტორო პროგრამა

სპეციალობა - ბიზნესის ადმინისტრირება

აკადემიური ხარისხი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა - 3 წელი ანუ 6 სემესტრი

კრედიტების რაოდენობა - 180 ECTS

მოცულობა:

ლექცია-სემინარები - 30 კრედიტი; - 10 კრედიტი წელიწადში;
პედაგოგიური პრაქტიკა - 18 კრედიტი - 6 კრედიტი წელიწადში;
კონფერენცია/პროექტები - 12 კრედიტი - 4 კრედიტი წელიწადში;
პუბლიკაციები - 12 კრედიტი; - 4 კრედიტი წელიწადში;
კვლევა/დისერტაცია - 108 კრედიტი - 36 კრედიტი წელიწადში;

ცოდნა და გაცნობიერება

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში მოწოდებულია ჩამოუყალიბოს მკვლევარებს თანამედროვე წარმოდგენები ბიზნესის ადმინისტრირებაზე, როგორც პრაქტიკულ საქმიანობაზე და უზრუნველყოფა მიღებული თეორიული ცოდნის შემოქმედებითად განვითარების უნარი, რათა მათ პრაქტიკული გამოცდილების კრიტიკული ანალიზით, შექმნან ახლებური მიდგომები და გაავრცელონ კრეატიული იდეები პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. მენეჯმენტის ფუნქციების, ორგანიზაციული კულტურის, მმართველობითი ურთიერთობის ეთიკისა და მართვის ხელოვნების კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, უზრუნველყოფა ხელმძღვანელობის სტილის გამომუშავება, რაც იძლევა ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად ამოცანის სწორად დასმის საშუალებას და განაპირობებს ოპერაციულ მენეჯმენტის ეფექტიან ადმინისტრირებას. პროგრამა ხელს უწყობს ბიზნესისადმი მოწინავე მიდგომების საფუძველზე დოქტორანტების სისტემური ეკონომიკურ-მენეჯერული აზროვნების განვითარებას, სტრატეგიული ალტერნატივების შერჩევა-შეფასებისა და იმპლემენტაციისთვის აუცილებელი აქტივობების განხორციელების მეთოდების ათვისებას, მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემის დასაანერგად მულტიფაქტორული ანალიზისა და სტრატეგიული ცვლილებების განხორციელებას, მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლით დოქტორანტების მიერ ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში ორგანიზაციული წინსვლის ხელშეწყობას ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ეთიკური ხასიათის ზოგადი დებულებების შემუშავებით.

პროგრამის სრულად გაცნობიერება უზრუნველყოფს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში სისტემური ცოდნის ფორმირებას და მენეჯმენტთან ასოცირებულ კანონზომიერებათა მედოლოგიური საფუძვლების კვლევის უნარების ჩამოყალიბებას, სხვადასხვა კონცეფციის კომპლექსური /ინტერდისციპლინარული/ მეცნიერული შეხედულებების კრიტიკული ანალიზით თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებისა და ფუნქციური მოდელების დახვეწას, ზოგადთეორიული ხასიათის ამოცანების გადაჭრით, ქართული რეალობის ადეკვატური მმართველობითი მიდგომების დამუშავებას და თანამედროვე მენეჯმენტის პარადიგმების განვითარებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულები შეძლებენ ლოგიკურად დასაბუთებული ინდივიდუალური და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. მათ ექნებათ სიღრმისეული ცოდნა არჩეული კვლევის თემატიკის ფარგლებში და სისტემური ცოდნა მენეჯერული ეკონომიკის მომიჯნავე სფეროებში, რის საფუძველზეც ჩაერთვებიან დარგის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში და განახორციელებენ თეორიულ-გამოყენებითი ხასიათის კვლევებს, რითაც გაამდიდრებენ ამ სფეროში არსებულ ცოდნას. აღნიშნულის შესაბამისად მოახდენენ ბიზნეს გარემოს ფაქტორების ანალიზით ბიზნეს პროცესების განვითარების ძირითადი ტენდენციების დადგენას, ბიზნეს ორგანიზაციებში ლიდერული პოტენციალისა და კომპეტენციების დიაგნოსტიკას, ინოვაციური მეწარმეობის კონკურენტული სტრატეგიების დამუშავებას, ორგანიზაციის მიზნობრივი მართვის კანონზომიერებების, კორპორატიული მისიის რეალიზაციის სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებას, ორგანიზაციის სისტემური დაპროექტების მეთოდების განვითარებას, სტრატეგიული განვითარების კონცეფციების კანონზომიერებათა კონკრეტული პირობებისადმი ადაპტაციას. შეეძლებათ წარმოადგინონ მენეჯმენტის ფუნქციური ასპექტების მრავალმხრივი ანალიზი, შეიმუშაონ რაციონალური რეკომენდაციები დასმული საკითხების გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზების თაობაზე და დასახონ კომპლექსური ღონისძიებები მათ გადასაწყვეტად. შედეგად ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეაფასოს მენეჯმენტის სრულყოფის ინოვაციური ღონისძიებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და შეიმუშაოს ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია. ამ პროცესში შეეძლებათ არსებული პრობლემების ახლებური ახსნის ძიება, რთული მმართველობითი საკითხების დამოუკიდებლად და ეფექტიანად გადაჭრა, კოლექტიური მუშაობის აუცილებლობისას გამოავლენენ სათანადო კომუნიკაციურ და ადმინისტრაციულ უნარებს. ამაში გამოადგებათ პროფესიულ დონეზე მენეჯერული კვლევის მეთოდებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების ფლობა, ამასთან შესწევთ უნარი შეიმუშაონ ახლებური ანალიტიკურ-კვლევითი მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე. ყოველივე საშუალებას აძლევს მათ თავად დაგეგმონ, შეიმუშაონ და უშუალოდ განახორციელონ კონკურენტუნარიანი კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, ხოლო მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით ბიზნესის სფეროში აწარმოონ მაღალკვალიფიციური მმართველობითი კონსალტინგი.

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

კურსდამთავრებულ ექნება ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიის შემუშავების და განვითარების ხელშეწყობის სინთეზის უნარი. მომხმარებელზე ორიენტირებულ ბიზნესის სტრატეგიაზე და ბიზნესის მართვის კონცეპტუალურ მოდელებზე, საწარმოო ციკლზე მის ფორმულირებზე, მიღებაზე, განხორციელებაზე, შეფასების ეტაპებზე, ბიზნესის მართვის პროცესში სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორის მოთამაშეების ჩართულობაზე და როლზე ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობის სინთეზის უნარი. სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ფუნქციისა და ფინანსური რესურსების გამოყენებისა და შემოსავლების განაწილების ფარგლებში არსებული რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების გამოყენებით არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი. ფულადი რესურსების მობილიზაციისა და განაწილების საკითხების შესახებ არსებული პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. საფინანსო სისტემის

სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპების, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის თითოეული ინსტრუმენტის გამოყენების მასშტაბების და შესაძლებლობების, გამორჩეული და ახალი კომპლექსური იდეების კრიტიკული შეფასების და ანალიზის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

ბიზნესის მართვის პროცესის და მასში მონაწილე ძირითად მხარეებზე, ბიზნესის მართვის პროცესში მენეჯერის როლზე, მისი ძირითად უფლებებზე და მოვალეობებზე, ლიდერობის მნიშვნელობაზე, ორგანიზაციული მართვის თეორიებზე, სახელწიფო და კერძო სექტორებში მართვის პროცესზე და თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესის სტრატეგიაზე და მმართველობის კონცეპტუალურ მოდელებზე, საწარმოო ციკლზე მის ფორმულირებზე, განხორციელებაზე, შეფასების, აღრიცხვისა და ხარისხის კონტროლის ეტაპებზე, მართვის პროცესში საჯარო და კომერციული მოთამაშეების ჩართულობაზე და როლის შესახებ რთული და სადავო ინფორმაციის ეფექტური გადაცემის უნარი როგორც სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, ასევე ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით. თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის მიწოდების და მათთან როგორც კომუნიკაციის უნარი. ასევე ზემოთხსენებული საკითხების შესახებ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნის და მათი თავისუფლად, დამაჯერებლად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი. შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.

სწავლის უნარი

განვითარებული აქვს სხვების სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვის და მართვის უნარი, როგორც ბაკალავრიატის ასევე მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

პროგრამის მოთხოვნებიდან და დოქტორანტის პირადი გარემოებებიდან გამომდინარე, მას ეძლევა ორი შესაძლებლობა:

პროგრამაში დარეგისტრირდეს სრული განაკვეთით – სწავლების 3 წელი,

ნაწილობრივი განაკვეთით – სწავლების 6 წელი.

სადოქტორო პროგრამაზე მიღებიან არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები. დოქტორანტობის კანდიდატს, სადოქტორო პროგრამის დაწყებისას უკვე უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც. შესაძლოა ეს პუბლიკაცია იყოს მისივე სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. განსაკუთრებულ შემთხვევებს დაცვის საბჭო განიხილავს ინდივიდუალურად.

საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან განაცხადის შეტანის შემდეგ, დოქტორანტი ორი კვირის განმავლობაში უნდა დარეგისტრირდეს პროგრამაზე და, შესაბამისად, გადაიხადოს პროგრამის ღირებულების მესამედი, ანუ ერთი წლის სწავლის საფასური.

დოქტორანტის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი მასთან აფორმებს ხელშეკრულებას.

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნა:

აკადემიური ხარისხის მისანიჭება ხდება დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის სრულად ამოწურვის შემდეგ, კერძოდ თუ:

დოქტორანტმა დააგროვა ინდივიდუალურ ლექცია-სემინარებში 30 ECTS;

სადოქტორო პროგრამით სწავლის I წლის დასრულებისას წარმოადგინა GMAT /GRE-ის საერთაშორისო სერთიფიკატი;

მონაწილეობა მიიღო სუ-ში 3 კურსის წარმართვაში (უმაღლეს პროფესიულ ან/და საბაკალავრო პროგრამაში), რითაც დააგროვა 18 ECTS

გამოაქვეყნა სულ მცირე 5 სამეცნიერო ნაშრომი, სკოლის მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო ხასიათის ჟურნალებში, თუ კრებულებში;

მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 3 კონფერენციაში (აქედან 2 საერთაშორისო ხასიათის);

წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა ჩამოთვლილი კომპონენტებიდან დისერტანტისათვის შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ დიპლომის გაცემა ხდება მხოლოდ ყველა კომპონენტის შესრულების შემდეგ.

თუ დისერტანტს დამთავრებული აქვს სრული პროგრამა და მიღებული შესაბამისი კრედიტები, მაშინ დიპლომის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

სასწავლო დროისა და კრედიტების განაწილება დოქტორანტურაში

აქ მოყვანილია სალექციო დროის განაწილების ზოგადსაუნივერსიტეტო მოდელი, რომელიც ასახავს აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტის პოლიტიკას. ლექტორს, რა თქმა უნდა, აქვს სრული თავისუფლება თითოეული ლექციისათვის თვითონ განსაზღვროს ლექციის სხვადასხვა ნაწილების (ჩათვლა, დისკუსია, ლექციის თეორიული ნაწილი) მოცულობა და ხანგრძლივობა.

დოქტორანტის დატვირთვა		წლის თვეები													კრედ/სთ. ECTS
		09	10	11	12	01		02	03	04	05	06	07/08		
		31-14		15-31											
1	ლექცია/სემინარი	3	3	3	3		3	3	3	3	3	3		10კრ/წ.×3=30	
2	პედაგოგიური პრაქტიკა.(სემინარი, ლექცია, პრაქტიკული)	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	6კრ/წ×3=18	
3.	კონფერენც/პროექტ. მონაწილეობა	წელიწადში *1 კონფერენცია მაინც											4კრ/წ×3=12		
4.	პუბლიკაციები	წელიწადში*2 სტატია მაინც, ანუ სულ 6; ან 2 სტატია და 1 მონოგრაფია											4კრ/წ×3=12		
5.	კვლევა/დისერტაცია	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	36კრ/წ×3=108	
სულ													180		

სადოქტორო დისერტაციის კრედიტები და მოდულები

სადოქტორო ნაშრომის მომზადება-დაცვა - 108 **ECTS**

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება რთული პროცესია, რომელიც ზოგადად მეცნიერული უნარ-ჩვევების განვითარების გარდა, საკვლევი სფეროსა და დარგის მიმართულებით პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებას მოითხოვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით აღნიშნულ ნაწილში სადოქტორო პროგრამა სამ მოდულად იყოფა: 1. მეცნიერული სრულყოფის მოდული; 2 პროფესიული სრულყოფის მოდული; 3. დისერტაციის მოდული.

კვლევისა და დისერტაციისათვის განკუთვნილი 108 კრედიტი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

კვლევა და დისერტაცია		კურსის /Q	ECTS კრ/სთ	განაწილება სემესტრებად					
მეცნიერული სრულყოფის მოდული, კვლევები და რეფერატები				1	2	3	4	5	6
1	ნარკვევი - კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები	2	12	12					
2	ნარკვევი- ადამიანთმცოდნეობაში	2	12	6	6				
3	ნარკვევი საზოგადოებათმცოდნეობაში	2	12		12				
4	ნარკვევი სოციალურ ინსტიტუტებსა და სისტემებში	2	12			12			
პროფესიული სრულყოფის მოდული									
1	ნარკვევი „ეკონომიკური რეფორმები საქართველოში“	1	6				6		
2	ნარკვევი მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციასა და ბიზნეს-კონსალტინგის საკითხებზე	1	6				6		
ბიზნესი									
3	ნარკვევი ეკონომიკის ფილოსოფიაში (სპეციალური)	1	6				6		
4	ნარკვევი ეკონომიკის და ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაში (სპეციალური)	1	6					6	
დისერტაციის მოდული									
1	დისერტაციის დაგეგმვა და წერა	1	6			6			
2	დისერტაცია	5	30					12	18
სულ		30	108	18	18	18	18	18	18

ნარკვევი „ეკონომიკური რეფორმები საქართველოში“

ეკონომიკური რეფორმები განვითარებად ქვეყნებში – უნიკალური, ფართომასშტაბიანი „ექსპერიმენტი“, რომელიც დაკავშირებულია ძირეული ეკონომიკური გარდაქმნების ერთდროულ მიმდინარეობასთან მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში.

რეფორმირება გულისხმობს განვითარების სრულიად ახალ მოდელზე გადასვლას. იცვლება თვით სახელმწიფოს როლი და შესაძლებლობები სამეურნეო პროცესში. იცვლება აგრეთვე საკუთრების ფორმების თანაფარდობა, დამოკიდებულება დანაზოგების, ინვესტიციებისა და სხვა ეკონომიკური კატეგორიების მიმართ.

ისტორიულ და გლობალურ კონტექსტში საქართველოს ეკონომიკური რეფორმები მსგავსია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში განხორციელებული გარდაქმნებისა. ქვეყნის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. გარდამავალი პერიოდის ეტაპზე ეკონომიკური განვითარების თითქმის იგივე გზა გაიარა მრავალმა სხვა ქვეყანამ. მიუხედავად განსხვავებული სასტატო პირობებისა სირთულეები, რომელთა წინაშე აღმოჩნდა საქართველო, განვითარებად ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი.

ამჟამად ძალზე აქტუალურია შემდგომი ეკონომიკური გარდაქმნების სავარაუდო შედეგებისა და პერსპექტივების განსაზღვრა – ერთგვარი „ორიენტაცია“ პოსტკრიზისულ ეკონომიკურ სივრცეში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ახლო წარსულში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში განხორციელებულმა ფრაგმენტარულმა ცვლილებებმა, არათანმიმდევრულმა გარდაქმნებმა და შემდგომ ე.წ. სიტუაციური რეაგირების ხშირად არაეფექტიანმა მცდელობამ განაპირობა ნეგატიური შედეგები.

ქვეყნის ეკონომიკური რეფორმირების ახალი ეტაპის ამოცანების განსაზღვრის მიზნით აუცილებელია ჩატარებული რეფორმების ობიექტური კვლევა, მათი თანმიმდევრობისა და ადეკვატურობის მეცნიერული შეფასება. საჭიროა აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის მკაფიოდ განსაზღვრული მოდელის შემუშავება მსოფლიოში ბოლო პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნული მოდულის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- განვითარებადი ქვეყნების რეფორმირების გამოცდილება.
- რეფორმის პროცესის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები.

- რეგიონალურ დონეზე რეფორმების გატარების სტრატეგია და ტაქტიკა.
- საქართველოსა და ევროკავშირის შორის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების პრინციპებისა და პოლიტიკის შემუშავება
- ეკონომიკური რეფორმის განხორციელების გზებზე ჭეშმარიტი და მცდარი შეხედულებების გამიჯვნა, ეკონომიკური პარადიგმებისა და სტერეოტიპების შეცვლა.
- ეკონომიკური რეფორმის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა და მიზანმიმართული ჩამოყალიბება.

კვლევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს:

ეკონომიკური რეფორმების მოდელის ძირითადი სტრუქტურული შემადგენლების განსაზღვრა. საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა. საქართველოში ეკონომიკური რეფორმის წინაპერიოდის რეალური ეკონომიკური სიტუაციის შესწავლა ძირეული გარდაქმნების ობიექტური აუცილებლობის მეცნიერული შესწავლის მიზნით. პოსტკრიზისულ პერიოდში ფინანსური სტაბილიზაციიდან ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლის უზრუნველყოფის პირობების შესწავლა. ეკონომიკური გარდაქმნების შედეგების შეფასება, მათზე ზეგავლენის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების განსაზღვრა,

წარკვევი მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციასა და ბიზნეს-კონსალტინგის საკითხებზე

გადაწყვეტილების მიღების თეორიისა და პრაქტიკის სიღრმისეული შესწავლა მკვლევარს განუვითარებს პრობლემების გამოვლენის, სწორი გადაწყვეტილების მიღების და მენეჯერული გადაწყვეტილებების რეალიზაციის უნარ-ჩვევებს. ამ მოდულით უზრუნველყოფა მიღებული თეორიული ცოდნისა და ლოგიკური კვლევისთვის აუცილებელი მათემატიკური მოდელირების საფუძველზე, ორგანიზაციულ პრობლემათა ადეკვატური დიაგნოსტიკა და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიის განვითარება. ოპტიმალური გადაწყვეტილებების მნიშვნელობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის, გადაწყვეტილების მიღების მეთოდების და პრინციპების სისტემური შესწავლის საფუძველზე, იგი იძლევა მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად ამოცანების სწორად დასმის და მათი ეფექტიანი გადაჭრის საშუალებას. ამისთვის იგი უნდა ეფუძნებოდეს მმართველობითი გადაწყვეტილებების როგორც ბიზნეს-ადმინისტრატორთა პროფესიული მოღვაწეობის სფეროს, მეცნიერების დარგთა მიღწევების ინტერდისციპლინური გამოყენების და მენეჯმენტის ფუნქციური ასპექტების განვითარების კომპლექსურ შეფასებებს.

აღნიშნული მოდულის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგიურ საკითხებზე სათანადო ცოდნის ფორმირება და მმართველობითი კონსალტინგის უნარების ჩამოყალიბება;
- გადაწყვეტილებათა მიღების ფორმებისა და მეთოდებისადმი მეცნიერული მიდგომების კრიტიკული ანალიზით, მათი რეალიზაციის ფუნქციური მოდელების დახვეწა;
- მენეჯერული კონსალტინგის ჩვევების განვითარებითა და გამოყენებითი ხასიათის ზოგადთეორიული ხასიათის ამოცანების გადაჭრით, ქართული რეალობის ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილებების დამუშავება-რაციონალიზაციის მეთოდოლოგიური კრიტერიუმების სრულყოფა.

კვლევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს:

დოქტორანტების მიერ პროცესების მოდელირებისთვის აუცილებელი მათემატიკური აპარატის ათვისების, მენეჯმენტის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფლობისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობების გათვალისწინებით ბიზნესის სფეროში გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციისთვის ზოგადი პრინციპებისა და გამოყენებითი ხასიათის

მეთოდის განვითარება, სადოქტორო კვლევის ობიექტიდან გამომდინარე შესაბამის სფეროში გადაწყვეტილებათა რაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებათა შემუშავება.

ნარკვევი ეკონომიკის ფილოსოფიაში

ეკონომიკის ფილოსოფია იკვლევს სამეურნეო-პრაქტიკული და თეორიულ-ეკონომიკური სფეროების ზოგად კანონზომიერებებს, იძლევა ეკონომიკური განათლების ფრაგმენტულობისა და ორთოდოქსალური მიდგომის დაძლევის, ეკონომიკური კვლევებისადმი მეთოდოლოგიური პლიურალიზმის პოზიციებიდან მიდგომის საშუალებას. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეკონომიკური დისციპლინების დინამიურად განვითარებადი კომპლექსის საფუძველი ეკონომიკური თეორია, ეკონომიკის, მეურნეობისა და წარმოების, ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაა. ეკონომიკის ფილოსოფია დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სპეციალისტების მომზადების არსობრივ და მსოფლმხედველობით მხარეს.

აღნიშნული მოდულის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები და ეკონომიკური თეორიების აქტუალურობის კრიტერიუმები.
- ძირითადი ეკონომიკური თეორიებისა და კონცეფციების, მათ შორის არსებული განსხვავებების გააზრებისა და შეფასების მეთოდების ანალიზი.
- წონასწორობის იდეის, მაქსიმიზაციის პრინციპის, სრულყოფილი კონკურენციის წინაპირობის, სუბიექტების რაციონალური ქცევის ხელახალი გააზრება მეთოდოლოგიური პლიურალიზმის პოზიციებიდან.
- ჭეშმარიტი და მცდარი მეცნიერული დებულებების მკვეთრი გამიჯვნა.
- ეკონომიკური თეორიების შეფასება იმის მიხედვით თუ რამდენად ძალუძთ იმ ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირება, რომელთა ახსნაც წარმოადგენს მათი კვლევის ობიექტს.
- იმ პრინციპების გამოვლენა, შეფასება და შედარება, რომლებზეც დაფუძნებულია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლები, შესაბამისი ეკონომიკური თეორიების სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრა, მათი რეკონსტრუირებული მოდულის კრიტიკული ანალიზი იმ კვლევითი პროგრამების ფარგლებში, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

კვლევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს:

ეკონომიკური თეორიების, პროცესებისა და მოვლენების, ზოგადად კულტურის, ეკონომიკურ ფასეულობებისა და ფაქტორების, ზოგადი მსოფლმხედველური პრინციპებისა და ეკონომიკური თეორიების კავშირის გამოვლენა ფილოსოფიური თვალსაზრისით.

ნარკვევი ეკონომიკის და ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაში

ეკონომიკის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური იდეებისა და თეორიების შექმნის, განვითარებისა და შეცვლის პროცესს, საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის ბოლოს- XIX საუკუნის დასაწყისში, სპეციალური ისტორიულ-ეკონომიკური კვლევები დაიწყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, როგორც ეკონომიკურ მეცნიერებათა დამოუკიდებელი დარგის ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა მეცნიერთა ჯგუფები, რომელთა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ეკონომიკის ისტორია. XX საუკუნის შუაპერიოდებიდან კი დაიწყო ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერების პროფესიონალიზაციის აქტიური პროცესი.

კვლევების თავისებურებებს ეკონომიკური მეცნიერების ამ დარგში განაპირობებს კომპლექსური ბუნება, რაც გულისხმობს მათი გავლენის ანალიზს ეკონომიკური ევოლუციის საკითხებსა, საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე, თეორიული პრობლემების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობის შეფასებაზე.

აღნიშნული მოდულის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- საქართველოს ეკონომიკის ისტორიის აქტუალური პრობლემების კვლევა.
- საქართველოს ეკონომიკური აზრის თავისებურებების კვლევა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის განვითარების საერთო კონტექსტში.
- საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

კვლევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს:

საქართველოს ეკონომიკის ისტორიის ახალი კონცეფციის შემუშავება, რაც გულისხმობს ერთიან მიდგომას ისტორიულ-ეკონომიკური პროცესის ყველა შემადგენლის (ეკონომიკის ისტორიის, ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკური პოლიტიკის) ურთიერთკავშირის კვლევისადმი.